CCA
ამაგი

შპსსაზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის

დირექტორის ბრძანება N28

2020 წლის 15 აპრილი

ქალაქი გორი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების დამტკიცებისშესახებ

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგისწესდების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი რუსუდან სუხიშვილი

საქართველო. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი
GEORGIA. COMMUNITY COLLEGE AMAGI
CCA ამაგი
* 417878130 *

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები (ტექსტში შემდგომში მექანიზმები) განსაზღვრავს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში (ტექსტში შემდგომში კოლეჯი) პერსონალური მონაცემის დამუშავებისას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის საშუალებებს.

2. ამ მექანიზმებში მოცემულ ტერმინებს აქვს ისეთივე განმარტება როგორიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში.

3. ამ მექანიზმების მოქმედება ვრცელდება კოლეჯში ავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, არაავტომატური საშუალებებით იმ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შეტანის მიზნით მუშავდება.

მუხლი 2. მონაცემთა დამუშავების პრინციპები

1. პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს აუცილებელია მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვა.

2. მონაცემთა დამმუშავებლის მიერ უნდა იქნეს გამოყენებული შემდეგი პრინციპები:

ა) სამართლიანობა და კანონიერება - მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად, კანონიერად, ადამიანის ღირსების შეულახავად.

ბ) კონკრეტული კანონიერი მიზნის არსებობის აუცილებლობა - ზუსტად უნდა განისაზღვროს, თუ რა მიზნით ხდება პერსონალური მონაცემების დამუშავება.

გ) ადეკვატურობა და პროპორციულობა - მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. როგორც მონაცემთა კატეგორია, ასევე, მათი მოცულობა უნდა იყოს ამ მიზნის ადეკვატური და პროპორციული.

დ) ნამდვილობა და სიზუსტე - მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების ნამდვილობა, სიზუსტე და საჭიროებისამებრ მათი განახლება.

ე) მონაცემების შენახვის ვადა - მონაცემები უნდა ინახებოდეს იმ ვადით, რაც აუცილებელია მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად. თუ კონკრეტული მონაცემის შენახვის ვადა კანონით არ არის განსაზღვრული, ეს ვადა უნდა განსაზღვროს თავად კოლეჯმა დამუშავების მიზნიდან გამომდინარე.

მუხლი 3. მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

1. მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ:

ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;

ბ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

გ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად;

ე) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;

ვ) კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა;

ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან იმ შემთხვევებში, როცა:

ა) ნასამართლობასთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად;

ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არა აქვს, მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა განაცხადოს;

გ) მონაცემები მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის;

დ) მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე;

ე) მონაცემები მუშავდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების რეალიზების მიზნით.

მუხლი 4. მონაცემთა დამუშავება

1. მონაცემთა დამუშავებისათვის აუცილებელია მექანიზმებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა და მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვა.

2. კოლეჯმა მონაცემთა დამუშავების თითოეულ შემთხვევაში თავად უნდა უზრუნველყოს მონაცემთა დამუშავების საფუძვლის განსაზღვრა.

3. იმისათვის, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავებას საფუძვლად დაედოს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, აუცილებელია რომ ეს თანხმობა:

ა) იყოს ნებაყოფლობითი;

ბ) გამოხატული იყოს წინასწარ, მონაცემთა დამუშავებამდე;

გ) გამოხატული იყოს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების შემდეგ;

დ) გამოხატული იყოს კონკრეტული მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე;

ე) გამოიხატოს ისეთი საშუალებით, რომლითაც ნათლად დგინდება მონაცემთა სუბიექტის ნება.

4. მონაცემთა სუბიექტის თანხმობით მონაცემთა დამუშავებამდე, კოლეჯი უნდა დარწმუნდეს, რომ სახეზეა თანხმობის კანონიერებისთვის განსაზღვრული ყველა ზემოაღნიშნული კომპონენტი და ამასთანავე, დაცულია თანხმობის კანონით გათვალისწინებული ფორმა.

5. თუ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით, ასეთ შემთხვევაში პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე.

6. თუ მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად - ამ შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მონაცემების დამუშავება აუცილებელი უნდა იყოს მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესის დასაცავად და სასიცოცხლო ინტერესის დაცვის აუცილებლობა, უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით.

7. თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის, ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად - ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს დამმუშავებლის, ან მესამე პირის კანონით დაცული ინტერესი და ის უნდა აღემატებოდეს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესს.

8. მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე შესაძლებელია მონაცემების დამუშავება ასევე:

ა) თუ კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია, ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა;

ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

გ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).

9. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით, ან თუკი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად და ა.შ.

10. თუ პროფესიული სტუდენტი ან პერსონალი ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდება კოლეჯში და საჭიროა საპატიო მიზეზის დადგენა და წარმოადგენს საავადმყოფო ფურცლს (ე.წ. „ბიულეტენი"), ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, კოლეჯმა წინასწარ განუმარტოს მონაცემთა სუბიექტს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავების მიზანი და მან წერილობით გამოხატოს ნება მისი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის დამუშავების თაობაზე.

მუხლი 5. ვიდეოთვალთვალი

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ვიდეოთვალთვალის განხორციელება დასაშვებია შემდეგი მიზნის მისაღწევად:

ა) პირის უსაფრთხოება - კოლეჯში, შესაძლოა, ვიდეოთვალთვალი განხორციელდეს პროფესიული სტუდენტების და სხვა პირთა უსაფრთხოების დასაცავად;

ბ) საკუთრების დაცვა - ვიდეოთვალთვალის განხორციელება იმ ტერიტორიაზე, სადაც განთავსებულია ძვირადღირებული კომპიუტერული ტექნიკა, ან სხვა აპარატურა და სხვა გზით საკუთრების დაცვის მიზნის მიღწევა შეუძლებელია;

გ) არასრულწლოვნების მავნე ზეგავლენისაგან დაცვა;

დ) საიდუმლო ინფორმაციის დაცვა - იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯში რაიმე სახის საიდუმლო ინფორმაცია ინახება, შესაძლოა, საჭირო გახდეს შესაბამისი სივრცის მონიტორინგი.

2. დაუშვებელია ვიდეოთვალთვალის განხორციელება პროფესიული სტუდენტების, ან კოლეჯში დასაქმებული პირების ქცევის მონიტორინგის ან/და შინაგანაწესის დაცვის კონტროლის მიზნით. ასევე, დაუშვებელია ვიდეოთვალთვალის განხორციელება აუდიტორიებში სასწავლო პროცესის კონტროლის მიზნით, ამის შესახებ პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაბამისი გაფრთხილების მიუხედავად.

3. ვიდეოთვალთვალი უნდა განხორციელდეს მხოლოდ შესასვლელის (შენობის შესასვლელი, დერეფანი, კიბის უჯრედი, ლიფტი) და გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად.

4. სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალი დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოების, საკუთრების დაცვისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნით და თუ ამ მიზნების მიღწევა სხვა საშუალებით შეუძლებელია.

5. იმ სივრცეში, სადაც ხორციელდება ვიდეოთვალთვალი, თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშანი ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ.

6. სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენებისას კოლეჯში დასაქმებული ყველა პირი წერილობითი ფორმით უნდა იყოს ინფორმირებული ვიდეოთვალთვალის განხორციელებისა და მისი უფლებების შესახებ.

7. ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით მომზადებული ჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემა დაუშვებელია გარდა გამონაკლისისა. თუ კოლეჯს მიმართავს სამართალდამცავი ორგანო და მოითხოვს ვიდეოჩანაწერს, კოლეჯმა ჩანაწერის გადაცემის საკითხი უნდა შეაფასოს ინდივიდუალურად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით (შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნით ვიდეოჩანაწერის გადაცემისთვის, შესაძლოა, აუცილებელი იყოს მოსამართლის განჩინება, ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პროკურორის მოტივირებული დადგენილება).

8. მონაცემთა უკანონო, ან შემთხვევითი გამჟღავნების, ან ნებისმიერი სხვა ფორმით გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, ასევე, მონაცემებზე არაავტორიზებული წვდომის პრევენციისთვის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება ვიდეოსათვალთვალო სისტემის წვდომაზე უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ი და მისი სამსახურიდან წასვლის ან/და მივლინების ან/და შვებულების პერიოდში შემცველელი პირ(ებ)ი.

9. მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა შექმნას ვიდეოჩანაწერების შენახვისათვის განკუთვნილი ფაილური სისტემა (მონაცემთა ბაზა, სადაც პერსონალური მონაცემები დალაგებული და ხელმისაწვდომია კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით). სისტემა ჩანაწერების (სურათები/ხმა) გარდა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მონაცემთა დამუშავების თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ.

10. მონაცემთა ყველა დამმუშავებელი ვალდებულია თითოეულ ფაილურ სისტემასთან დაკავშირებით აწარმოოს ფაილური სისტემის კატალოგი, რომელიც მოიცავს ფაილური სისტემის სტრუქტურისა და შინაარსის დეტალურ აღწერილობას.

მუხლი 6. ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება

1. ბიომეტრიული მონაცემი არის პირის ფიზიკური, ფსიქიკური, ან ქცევის მახასიათებელი, რომელიც უნიკალური და მუდმივია თითოეული ფიზიკური პირისთვის და იძლევა ამ პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. მაგალითად, ბიომეტრიული მონაცემებია თითის ანაბეჭდი, ტერფის ანაბეჭდი, თვალის ფერადი გარსი, სახის მახასიათებლები.

2. დაუშვებელია კოლეჯში პროფესიული სტუდენტების და პერსონალის შესვლა-გასვლის კონტროლი თითის ანაბეჭდის საშუალებით.

მუხლი 7. მონაცემთა დამუშავება კოლეჯის შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით

1. კოლეჯის შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით კოლეჯს შეუძლია შეაგროვოს შემდეგი მონაცემები: სახელი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი და სახე, მისამართი, შესვლისა და გასვლის თარიღები და დრო, ასევე შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის მიზეზები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემთა შენახვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მათი ჩაწერის დღიდან სამ წელს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ ისინი უნდა წაიშალოს ან განადგურდეს.

მუხლი 8. წვდომა პერსონალურ მონაცემებზე

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების მიზანზე და სამართლებრივ საფუძველზე, მონაცემთა შეგროვების გზებზე, ასევე, იმაზე, თუ ვის გადაეცა მისი მონაცემები, რა მიზნითა და რა საფუძვლით.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ფორმას ირჩევს თავად მონაცემთა სუბიექტი.

3. მონაცემთა სუბიექტს მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს დაუყოვნებლივ, ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა, თუ აუცილებელია მოთხოვნილი ინფორმაციის სხვა დაწესებულებაში მოძიება, დაწესებულებასთან კონსულტაცია, მოსაძიებელია დიდი მოცულობით ინფორმაცია და სხვა.

4. კოლეჯის პროფესიული სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა კოლეჯმა, შესაძლოა, უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მართვის სისტემის, სატელეფონო შეტყობინებების, ან/და სხვა საშუალებებით. თუმცა, ინფორმაცია მონაცემთასუბიექტის შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ მისთვის და არა ნებისმიერი მესამე პირისთვის.

5. დაუშვებელია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული შენიშვნების განხილვა სალექციო პროცესის მიმდინარეობისას, სხვა პროფესიული სტუდენტების თანდასწრებით.

6. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება აქვს მშობელს, ან მის სხვა კანონიერ წარმომადგენელს. რაც შეეხება სრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებს, მათ შესახებ ინფორმაცია მშობლებს მიეწოდებათ პროფესიული სტუდენტის თანხმობით.

7. სავალდებულოა მესამე პირებისთვის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისას მოხდეს ინფორმაციის გაცემის ფაქტების აღრიცხვა, რაც უნდა მოიცავდეს შემდგომ ინფორმაციას:

ა) რა მონაცემი იქნა გაცემული,

ბ) ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით.

მუხლი 9. მონაცემთა უსაფრთხოება

1. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.

2. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამუშავებისას მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვა.

3. მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომები მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური უნდა იყოს.

4. მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

5. მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის ზომები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.